

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2020 წლის 18 მარტი

ქ. ვანი

**„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების
შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 31.01.2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016295) დანართში „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულება“ შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნას.
2. დანართის მე-81 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ჩაიბაროს მშენებლობის ბოლო ეტაპი და შენობა-ნაგებობა მიიღოს ექსპლოატაციაში მშენებლობის ნებართვის მფლობელის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ივანიაძე

